საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის

ბრძანება №16

2016 წლის 16 სექტემბერი

ქ. თბილისი

მზღვეველის საზედამხედველო კაპიტალის ოდენობის გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ

„დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის 1^5 პუნქტის, მე-14 მუხლის 1-ლი პუნქტის „ვ” ქვეპუნქტის, ამავე კანონის მე-16 მუხლის 1-ლი პუნქტის და 21-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის, 2016 წლის 8 ივნისის „დაზღვევის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე” საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის და ამავე კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 02 მაისის №102 დადგენილების თანახმად დამტკიცებული სსიპ – საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის დებულების მე-3 მუხლის „ზ” და „ო“ ქვეპუნქტების და ამავე დებულების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

1. დამტკიცდეს „მზღვეველის საზედამხედველო კაპიტალის ოდენობის გაანგარიშების წესი“ თანდართული სახით.
2. მზღვეველებმა ამ ბრძანების თანდართული წესის 1-ლი მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნა დააკმაყოფილონ 2018 წლის 1 იანვრიდან სრულად.

3. მზღვეველის საზედამხედველო კაპიტალის ოდენობა უნდა აღემატებოდეს გაანგარიშებით მიღებული გადახდისუნარიანობის მარჟის ოდენობის 50 %-ს 2017 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 ივლისამდე.

4. მზღვეველის საზედამხედველო კაპიტალის ოდენობა უნდა აღემატებოდეს გაანგარიშებით მიღებული გადახდისუნარიანობის მარჟის ოდენობის 75 %-ს 2017 წლის 1 ივლისიდან 2018 წლის 1 იანვრამდე.

5. მზღვეველებმა ამ ბრძანების თანდართული წესის 1-ლი მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნა დააკმაყოფილონ 2018 წლის 1 იანვრიდან.

6. ამ ბრძანებით დამტკიცებული „მზღვეველის საზედამხედველო კაპიტალის ოდენობის გაანგარიშების წესის“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ჟ“ ქვეპუნქტი არ ვრცელდება 2017 წლის 21 სექტემბრამდე წარმოშობილ ურთიერთობებზე.

საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2017 წლის 18 სექტემბრის ბრძანება №24 - ვებგვერდი, 21.09.2017წ.
საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2017 წლის 11 ოქტომბრის ბრძანება №25 - ვებგვერდი, 11.10.2017წ.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

სსიპ - საქართველოს დაზღვევის
სახელმწიფო ზედამხედველობის **იოსებ გოგოლაშვილი**
სამსახურის უფროსი

მზღვეველის საზედამხედველო კაპიტალის ოდენობის გაანგარიშების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ეს წესი შემუშავებულია „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის 15 პუნქტის, მე-14 მუხლის 1-ლი პუნქტის “ვ” ქვეპუნქტის, ამავე კანონის მე-16 მუხლის 1-ლი პუნქტის და 21-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის, 2016 წლის 8 ივნისის „დაზღვევის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე” საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტისა და ამავე კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად და ადგენს სადაზღვევო საქმიანობის განხორციელებისას მზღვეველის საზედამხედველო კაპიტალის ოდენობის გაანგარიშების (გამოთვლის) წესს, მასში შემავალ კომპონენტებს გაანგარიშებისთვის აუცილებელი დაქვითვის (შემცირების) კომპონენტების გათვალისწინებით.

2. საზედამხედველო კაპიტალი წარმოადგენს მზღვეველის ფინანსური სიმყარის უზრუნველყოფის საფუძველს, მოსალოდნელი თუ მოულოდნელი რისკებისაგან დაცვის მექანიზმს.

3. მზღვეველის საზედამხედველო კაპიტალის ოდენობა სადაზღვევო საქმიანობის განხორციელების ყველა ეტაპზე უნდა აღემატებოდეს მზღვეველის გაანგარიშებით მიღებული გადახდისუნარიანობის მარჟის ოდენობას.

4. მზღვეველის საზედამხედველო კაპიტალის ოდენობა სადაზღვევო საქმიანობის განხორციელების ყველა ეტაპზე უნდა აღემატებოდეს საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2017 წლის 25 დეკემბრის №27 ბრძანებით „საქართველოს ტერიტორიაზე სადაზღვევო საქმიანობის განხორციელების ყველა ეტაპზე კაპიტალის მინიმალური ოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ” განსაზღვრულ კაპიტალის მინიმალურ ოდენობას.

5. მზღვეველი ვალდებულია სადაზღვევო საქმიანობის განხორციელების ყველა ეტაპზე აკმაყოფილებდეს ამ წესით დადგენილ მოთხოვნებს.

საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2017 წლის 27 დეკემბრის ბრძანება №28 - ვებგვერდი, 29.12.2017წ.

მუხლი 2. საზედამხედველო კაპიტალის ოდენობის გაანგარიშებისას გამოყენებული ცნებების განმარტება

ა) სუბორდინირებული სესხი – ისეთი სესხი, რომელსაც სხვა სესხებთან შედარებით აქვს გადახდის (დაფარვის) უფრო დაბალი პრიორიტეტი – სესხის ხელშეკრულების საფუძველზე მხარეები თანხმდებიან, რომ მზღვეველის მძიმე ფინანსური მდგომარეობის, გადახდისუუნარობის ან ლიკვიდაციის შემთხვევაში, სუბორდინირებული სესხის კრედიტორის მოთხოვნების დაკმაყოფილება მოხდება მხოლოდ ყველა სხვა არააქციონერ კრედიტორთა მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილების შემდეგ;

ბ) საზედამხედველო კაპიტალის ოდენობის გაანგარიშების (გამოთვლის) დროს გამოიყენება „მზღვეველის ფინანსური ანგარიშგების ფორმებისა და მათი საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურისათვის წარდგენის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2013 წლის 24 დეკემბრის №02 ბრძანების პრინციპები და განმარტებები.

საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2024 წლის 7 აგვისტოს ბრძანება №69 - ვებგვერდი, 08.08.2024წ.

მუხლი 3. საზედამხედველო კაპიტალის ოდენობის გაანგარიშება

1. ამ წესის მიზნებისთვის საზედამხედველო კაპიტალის ოდენობა გაანგარიშდება შემდეგნაირად:

მზღვეველის საკუთარი კაპიტალი (სააქციო კაპიტალს დამატებული საემისიო კაპიტალი, გამოკლებული გამოსყიდული აქციები, დამატებული აკუმულირებული მოგება/(ზარალი), დამატებული „პერიოდის წმინდა მოგება/(ზარალი)“, დამატებული „ფასს-ის მიხედვით კაპიტალში აღსარიცხი ყველა სახის რეზერვი“) მცირდება შემდეგი კომპონენტების გათვალისწინებით:

ა) გუდვილი და სხვა არამატერიალური აქტივების (წმინდა) 100%-ით;

ბ) ინვესტიციებით მეკავშირე კომპანიებში (მონაწილეობა კაპიტალში და გაცემული სესხები) 100%-ით;

გ) ინვესტიციებით შვილობილ კომპანიებში (მონაწილეობა კაპიტალში და გაცემული სესხები) 100%-ით;

დ) აქციები, რომელთა მიმოქცევა ხორციელდება ორგანიზებული ბაზრის გარეთ 100%-ით;

ე) გაცემული არაუზრუნველყოფილი სესხების 100%-ით;

ვ) აქტივების იმ ოდენობით, რომელიც კომპანიის მიერ გამოყენებულია ვალდებულებების უზრუნველყოფის საშუალებად და ასახული არ არის მზღვეველის ფინანსური ანგარიშგების ვალდებულებების ნაწილში (შეზღუდული თანხის 100%);

ზ) გადავადებული საკომისიო ხარჯის 100%-ით[1];

თ) გადავადებული საგადასახადო აქტივის 100%-ით;

ი) გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივების 10%-ით;

კ) დაფარვის ვადამდე მფლობელობაში არსებული ფინანსური აქტივების 10%-ით;

ლ) რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები, მოგებაში ან ზარალში ასახვით 10%-ით;

მ) მოთხოვნები გადარჩენილი ქონებიდან 100%-ით;

ნ) 100 000 ლარს ზემოთ ოდენობის ნაღდი ფული სალაროში 100%-ით;

ო) საინვესტიციო ქონების 30%-ით;

პ) სხვა აქტივები 100%-ით:

პ.ა) მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი მოთხოვნებით;

პ.ბ) გადახდილი ავანსებით[2];

პ.გ) საწარმოო პერსონალის მიმართ მოთხოვნებით;

პ.დ) დამფუძნებლების მიმართ მოთხოვნებით;

პ.ე) მარაგებით;

პ.ვ) სხვა ინვესტიციებით;

პ.ზ) სხვა[3];

ჟ) კომპანიის მიერ აღებული ვალდებულებების ოდენობით, რომელიც გამომდინარეობს დადებული თავდებობის ან/და სასესხო (საკრედიტო) ხელშეკრულებებიდან და ასახული არ არის მზღვეველის ფინანსური ანგარიშგების ვალდებულებების ნაწილში (ვალდებულებების 100 %-ით).

1[1]. საზედამხედველო კაპიტალი შესაძლებელია დამატებით მოიცავდეს მზღვეველის მიერ აღებულ სუბორდინირებულ სესხს, რომლის დასაშვები ჯამური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს:

ა) უვადო სუბორდინირებული სესხის შემთხვევაში – ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად გაანგარიშებულ ოდენობასა და მზღვეველის კაპიტალის მინიმალურ ოდენობას შორის უმცირესი მაჩვენებლის 50%-ს;

ბ) ვადიანი სუბორდინირებული სესხის შემთხვევაში – ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად გაანგარიშებულ ოდენობასა და კაპიტალის მინიმალურ ოდენობას შორის უმცირესი მაჩვენებლის 25%-ს.

1[2]. საზედამხედველო კაპიტალში ჩართვის მიზნით, სუბორდინირებული სესხი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

ა) სესხის თავდაპირველი ვადა უნდა იყოს სულ მცირე ხუთი წელი;

ბ) საპროცენტო განაკვეთი არ უნდა იზრდებოდეს და არ უნდა არსებობდეს წინასწარ დაფარვის სხვა მოტივაცია;

გ) სესხი უნდა იყოს ყოველგვარი უზრუნველყოფისა და გამოყენების შეზღუდვების გარეშე;

დ) მხოლოდ სრულად გადახდილი თანხები ჩაითვლება სუბორდინირებული სესხის დასაშვებ ოდენობაში;

ე) დაფარვის ვადამდე დარჩენილი 5-წლიანი პერიოდის განმავლობაში სუბორდინირებული სესხი ამორტიზირდება ყოველთვიურად წრფივად და საზედამხედველო კაპიტალში ჩაირთვება არაამორტიზირებული ნაწილი;

ვ) სუბორდინირებული სესხი გამცემის მიერ შეიძლება გამოთხოვილ იქნეს სულ მცირე ხუთი წლის შემდეგ. გამოთხოვის უფლების ან მზღვეველის მიერ წინასწარ დაფარვის უფლების

გამოყენებისათვის, მზღვეველმა წინასწარი თანხმობა უნდა მიიღოს სსიპ – საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურისგან;

ზ) მზღვეველმა არ უნდა შექმნას გამოთხოვის ან წინასწარი დაფარვის უფლების გამოყენების მოლოდინი;

თ) მზღვეველმა არ უნდა გამოიყენოს გამოთხოვის უფლება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გამოთხოვილი სესხის ჩანაცვლება ხდება იგივე ან უკეთესი ხარისხის კაპიტალით და აღნიშნული კაპიტალის ჩანაცვლება ხდება ისეთი პირობებით, რომელიც შეესაბამება მზღვეველის შემოსავლის მასშტაბებს ან მზღვეველს შეუძლია დემონსტრირება, რომ თანხის გამოთხოვის უფლების გამოყენების შემთხვევაში მზღვეველის საზედამხედველო კაპიტალი საკმარისად აღემატება კაპიტალის მინიმალურ ოდენობას და გადახდისუნარიანობის მარჟის ოდენობას;

ი) სუბორდინირებული სესხის საზედამხედველო კაპიტალში ჩართვა, ისევე როგორც სესხის ხელშეკრულების პირობების ნებისმიერ ცვლილება, წინასწარ უნდა შეთანხმდეს სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურთან.

1[3]. მზღვეველი ვალდებულია, უზრუნველყოს ამ მუხლის 1[2] პუნქტის მოთხოვნებთან შესაბამისობა სუბორდინირებული სესხის მზღვეველის საზედამხედველო კაპიტალში ჩართვის მთელი პერიოდის განმავლობაში.

2. მზღვეველი ვალდებულია ამ წესის დანართი №1-ის შესაბამისი საზედამხედველო კაპიტალის ოდენობის ანგარიშგება წარუდგინოს საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურს შემდეგი თარიღებისათვის:

ა) 1 თვის – არაუგვიანეს საანგარიშო პერიოდის 20 თებერვლისა;

ბ) 2 თვის – არაუგვიანეს საანგარიშო პერიოდის 20 მარტისა;

გ) 3 თვის – არაუგვიანეს საანგარიშო პერიოდის 20 აპრილისა;

დ) 4 თვის – არაუგვიანეს საანგარიშო პერიოდის 20 მაისისა;

ე) 5 თვის – არაუგვიანეს საანგარიშო პერიოდის 20 ივნისისა;

ვ) 6 თვის – არაუგვიანეს საანგარიშო პერიოდის 20 ივლისისა;

ზ) 7 თვის – არაუგვიანეს საანგარიშო პერიოდის 20 აგვისტოსი;

თ) 8 თვის – არაუგვიანეს საანგარიშო პერიოდის 20 სექტემბრისა;

ი) 9 თვის – არაუგვიანეს საანგარიშო პერიოდის 20 ოქტომბრისა;

კ) 10 თვის – არაუგვიანეს საანგარიშო პერიოდის 20 ნოემბრისა;

ლ) 11 თვის – არაუგვიანეს საანგარიშო პერიოდის 20 დეკემბრისა;

მ) 12 თვის (წლიური) – არაუგვიანეს მომდევნო საანგარიშო წლის 20 თებერვლისა.

---

[1] მზღვეველის გადავადებული საკომისიო ხარჯი გაიანგარიშება მზღვეველის კონტრაჰენტი სადაზღვევო ბროკერის/დაზღვევის აგენტის/ცედენტის კუთვნილ გადავადებულ საკომისიოსა და ამავე სადაზღვევო ბროკერის/დაზღვევის აგენტის/ცედენტის წინაშე მზღვეველის არსებულ ვალდებულებებს შორის სხვაობით. თუ მიღებული შედეგი 0-ზე ნაკლებია, ამ წესის მიზნებისთვის აღნიშნული კონტრაჰენტის გადავადებული საკომისიო ხარჯი 0-ის ტოლია.

[2] მზღვეველის მიერ კონტრაჰენტ სამედიცინო დაწესებულებაზე/დაწესებულებებზე გადახდილი ავანსი/ავანსები გაიანგარიშება მზღვეველის მიერ სამედიცინო დაწესებულების/დაწესებულებების მიმართ ავანსად გადახდილ თანხებსა და ამავე დაწესებულების/დაწესებულებების წინაშე მზღვეველის არსებულ ვალდებულებებს შორის სხვაობით. თუ მიღებული შედეგი 0-ზე ნაკლებია, ამ წესის მიზნებისთვის აღნიშნულ კონტრაჰენტზე გადახდილი ავანსი 0-ის ტოლია.

[3] იგულისხმება „მზღვეველის ფინანსური ანგარიშგების ფორმებისა და მათი საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურისათვის წარდგენის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2013 წლის 24 დეკემბრის №02 ბრძანებით დამტკიცებული დანართი №1-ის, ფორმა №1-10-ის, სტრიქონი/კოდი 00790-ის შესაბამისი აქტივი, გარდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო

სტანდარტ (IFRS) №16-ით განსაზღვრული აქტივის გამოყენების უფლების მიხედვით შექმნილი აქტივისა.

საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2017 წლის 18 სექტემბრის გრძანება №24 - ვებგვერდი, 21.09.2017წ.

საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2020 წლის 2 აპრილის გრძანება №42 - ვებგვერდი, 02.04.2020წ.

საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2024 წლის 7 აგვისტოს გრძანება №69 - ვებგვერდი, 08.08.2024წ.

დანართი №1

საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2017 წლის 18 სექტემბრის გრძანება №24 - ვებგვერდი, 21.09.2017წ.

საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2024 წლის 7 აგვისტოს გრძანება №69 - ვებგვერდი, 08.08.2024წ.

მზღვეველი:

ანგარიშგების თარიღი:

საზედამხედველო კაპიტალის ანგარიშგება

ლარებში

	სტრიქონის კოდი	№		საანგარიშო პერიოდი
	00010	1	- სააქციო კაპიტალი	
	00020	2	- საემისიო კაპიტალი	
	00030	3	- გამოსყიდული აქციები	
	00040	4	- აკუმულირებული მოგება/(ზარალი)	
	00050	5	- პერიოდის წმინდა მოგება/(ზარალი)	
	00060	6	- სხვა რეზერვები	
	00070	7	სულ კაპიტალი:	-

დისკონტირებული აქტივები

	00080	8	- გუდვილი და სხვა არამატერიალური აქტივები, წმინდა	
	00090	9	- ინვესტიციები მეკავშირე კომპანიებში (მონაწილეობა კაპიტალში და გაცემული სესხები)	
	00100	10	- ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში (მონაწილეობა კაპიტალში და გაცემული სესხები)	
	00110	11	- აქციები, რომელთა მიმოქცევა ხორციელდება ორგანიზებული ბაზრის გარეთ;	
	00120	12	- გაცემული არაუზრუნველყოფილი სესხები	
	00130	13	- აქტივები, რომელიც გამოყენებულია ვალდებულების უზრუნველყოფის საშუალებად და ასახული არ არის მზღვეველის ფინანსური ანგარიშგების ვალდებულებების ნაწილში	
	00140	14	- გადავადებული საკომისიო ხარჯი	
	00150	15	- გადავადებული საგადასახადო აქტივი	
	00160	16	- გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები	
	00170	17	- დაფარვის ვადამდე მფლობელობაში არსებული ფინანსური აქტივები	
	00180	18	- რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები, მოგებაში ან ზარალში ასახვით	
	00190	19	- მოთხოვნები გადარჩენილი ქონებიდან	
	00200	20	- ნაღდი ფული სალაროში – 100 000 ლარს ზემოთ	

	00210	21	- საინვესტიციო ქონება	
	00220	22	- სხვა აქტივები	-
	00230	23	მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი მოთხოვნები	
	00240	24	გადახდილი ავანსები	
	00250	25	მოთხოვნები საწარმოო პერსონალის მიმართ	
	00260	26	მოთხოვნები დამფუძნებლების მიმართ	
	00270	27	მარაგები	
	00280	28	სხვა ინვესტიციები	
	00290	29	სხვა	
	00300	30	სულ დისკონტირებული აქტივები:	-

დაქვითვის სხვა კომპონენტები

	00310	31	აღებული ვალდებულებების ოდენობა, რომელიც გამომდინარეობს დადებული თავდებობის ან/და სასესხო (საკრედიტო) ხელშეკრულებებიდან და ასახული არ არის მზღვეველის ფინანსური ანგარიშგების ვალდებულებების ნაწილში	

სუბორდინირებული სესხები

	00320	32	აღებული სუბორდინირებული სესხების დასაშვები ოდენობა	

საზედამხედველო კაპიტალი

	00330	33	საზედამხედველო კაპიტალი	-

	00340	34	მინიმალური კაპიტალის მოთხოვნა	

	00350	35	გადახდისუნარიანობის მაჩვენებლი	

	00360	36	საზედამხედველო კაპიტალის (ზედმეტობა/დანაკლისი) მინიმალურ კაპიტალთან	-

	00370	37	საზედამხედველო კაპიტალის (ზედმეტობა/დანაკლისი) გადახდისუნარიანობის მაჩვენებელთან	-